EUROPEAN LAWYERS
EUROPEAN BARS
CCBE
BARREAUX EUROPÉENS
AVOCATS EUROPÉENS
60 YEARS 1960 - 2020

*Le Président*
The President

თარგმანი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს,
ბატონ შალვა პაპუაშვილს

საქართველოს იუსტიციის მინისტრს,
ბატონ რატი ბრეგაძეს

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ
საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს,
ბატონ ანრი ოხანაშვილს

ასლი: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
თავმჯდომარეს, ბატონ დავით ასათიანს

ბრიუსელი, 2023 წლის 31 აგვისტო

საკითხი: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები

პატივცემულო პარლამენტის თავმჯდომარე,

პატივცემულო მინისტრო,

პატივცემულო კომიტეტის თავმჯდომარე,

მოგმართავთ ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭოს (CCBE) სახელით, რომელიც წარმოადგენს 46 ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციასა და სამართლის საზოგადოებას და მათი მეშვეობით ერთ მილიონზე მეტ ევროპელ ადვოკატს აერთიანებს.

CCBE წარმოადგენს ევროპის ადვოკატთა და იურიდიულ საზოგადოებათა საერთო ინტერესებს ევროპული და საერთაშორისო ინსტიტუტების წინაშე და შესაბამისად, მოქმედებს როგორც მათი მეკავშირე ევროპულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ასევე, იურიდიულ სფეროში მოქმედ სხვა ორგანიზაციებთან მსოფლიო მასშტაბით. მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობა, იურიდიული პროფესიის ძირითადი ღირებულებების დაცვა და განმტკიცება, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და

დემოკრატიული ღირებულებების გამყარება CCBE-ს უმთავრესი მისიაა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია CCBE-ის წევრია დამკვირვებლის სტატუსით.

CCBE ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პროფესიული ვალდებულებების განხორციელებისას ადვოკატები იცავენ ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს და ამ გზით, უზრუნველყოფენ მართლმსაჯულების განხორციელებასა და კანონის უზენაესობის განმტკიცებას, რაც დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედია. ადვოკატურის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი როლი აღიარებულია ევროპის საბჭოს 2000 წლის 25 ოქტომბრის რეკომენდაციით - იურიდიული პროფესიის განხორციელების თავისუფლების შესახებ (№ R (2000) 21) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1990 წლის 14 დეკემბერს დამტკიცებული - ძირითადი პრინციპებით ადვოკატთა როლის შესახებ.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შეტყობინების საფუძველზე, ჩვენთვის ცნობილი გახდა ადვოკატთა ასოციაციის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოში ადვოკატის როლის გაძლიერებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლში განსახორციელებელი ის ცვლილებები, რომელიც პროფესიული საიდუმლოების დაცვას ეხება.

CCBE ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პროფესიული საიდუმლოება და ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებული კონფიდენციალობის პრინციპი კანონის უზენაესობის განმტკიცებისთვისა და კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული იურიდიული სისტემების გამართული ფუნქციონირებისთვის მსოფლიო მასშტაბით განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია. CCBE მიიჩნევს, რომ პროფესიული საიდუმლოება გულისხმობს ადვოკატის როგორც უფლებას, ასევე ვალდებულებას, დაიცვას კონფიდენციალობა კლიენტებთან მიმართებით და გაითვალისწინოს პროფესიული საიდუმლოების დაცვის პრინციპი კონკრეტული იურისდიქციის ქვეშ არსებული ეროვნული კანონმდებლობის, რეგულაციებისა და დეონტოლოგიური წესების შესაბამისად. ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანია, კონფიდენციალობის პრინციპის დაცვა ყველა მონაცემსა და ინფორმაციასთან მიმართებით, რომელთა გაზიარება ხდება ადვოკატებსა და მათ კლიენტებს, ასევე პოტენციურ კლიენტებსა და შესაბამის შემთხვევაში, მესამე მხარეებს შორის; აღნიშნული ასევე ეხება ადვოკატის მიერ შედგენილი ნებისმიერი ფორმის დოკუმენტს. ადვოკატსა და კლიენტს შორის მიმდინარე კომუნიკაციის კონფიდენციალური ხასიათის დაცვა საკვანძო მნიშვნელობის მქონეა ადვოკატის პროფესიული ფუნქციების განხორციელებისა და მათი კლიენტის უფლებების ეფექტიანად დაცვისთვის; ეს არის გარანტია იმისა, რომ ადვოკატი არ გაამჟღავნებს და ასევე, მას ვერავინ აიძულებს, გაამჟღავნოს კლიენტთან დაკავშირებული ინფორმაცია; შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია ვერ იქნება გამოყენებული კლიენტის საწინააღმდეგოდ.

ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციასთან მიმართებით პროფესიული საიდუმლოებისა და კონფიდენციალურობის დაცვის მნიშვნელობა აღიარებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს (CJEU) შესაბამისი პრეცედენტული სამართლით.

კლიენტთან დაკავშირებით კონფიდენციალობისა და პროფესიული საიდუმლოების დაცვის ადვოკატის უფლება და ვალდებულება ასევე წარმოადგენს CCBE-ს ევროპის იურიდიული პროფესიის ძირითადი პრინციპების ქარტიით განსაზღვრულ ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს. ადვოკატის ფუნქციის არსი გულისხმობს იმას, რომ სწორედ მას უზიარებს კლიენტი ინფორმაციას, რომელსაც არ გაუზიარებს სხვა პირს და კონფიდენციალობა არის ის პრინციპი, რომლის საფუძველზეც ხდება ადვოკატი აღნიშნული და სხვა ინფორმაციის მიმღები. კონფიდენციალობის გარეშე ვერ იარსებებს ნდობა. CCBE-ს ქარტია ხაზს უსვამს აღნიშნული პრინციპის ორმაგ ბუნებას - კონფიდენციალობის დაცვა არა მხოლოდ ადვოკატის ვალდებულებაა, ის კლიენტის ფუნდამენტური უფლებაა. პროფესიული საიდუმლოების პრინციპით განსაზღვრული წესები კრძალავს ადვოკატსა და კლიენტს შორის გაცვლილი ინფორმაციის ამ უკანასკნელის წინააღმდეგ გამოყენებას. აღნიშნული პრინციპი მოიცავს ყველა ურთიერთდაკავშირებულ ცნებას - იურიდიული პროფესიის პრივილეგიას, კონფიდენციალობას და პროფესიულ საიდუმლოებას. ადვოკატის ვალდებულება კლიენტის მიმართ ასეთად რჩება ადვოკატის მიერ საქმიანობის შეწყვეტის შემდგომაც.

CCBE-ს მიერ მიღებული ევროპელ ადვოკატთა ქცევის კოდექსის თანახმად, ადვოკატმა ასევე უნდა უზრუნველყოს მისი პარტნიორების, თანამშრომლების და პროფესიულ საქმიანობათა განხორციელების პროცესში მის მიერ ჩართული ნებისმიერი სხვა პირის მიერ კონფიდენციალობის დაცვის ანალოგიური ვალდებულება.

ამდენად, CCBE მტკიცედ უჭერს მხარს ეროვნულ კანონმდებლობებში ადვოკატთა პროფესიული საიდუმლოების პრინციპის დაცვის უზრუნველყოფისკენ მიმართულ ყველა ინიციატივას და ქმედებას.

CCBE-სთვის ასევე ცნობილი გახდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წინადადება ადვოკატებისთვის სასამართლო წარმომადგენლობის ექსკლუზიური უფლებების მინიჭების თაობაზე სამოქალაქო დავების წარმოებისას პირველი ინსტანციის სასამართლოში. CCBE აღნიშნავს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მიდგომები არსებობს და შესაბამისად, რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს გამოყოფს: პირველი ასპექტი ისაა, რომ კლიენტი სასამართლოში წარმოდგენილი უნდა იყოს კვალიფიცირებული და მაღალპროფესიონალური ადვოკატით, რომელიც თავის პროფესიულ საქმიანობას წარმართავს იურიდიული პროფესიის მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობით. იურიდიული განათლებიდან და შესაბამისი პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ადოკატები აღჭურვილნი არიან საჭირო ცოდნითა და უნარებით, რათა უზრუნველყონ კომპეტენტური წარმომადგენლობა სასამართლოში, რაც, დიდი ალბათობით, განაპირობებს სასამართლო საქმის უფრო ეფექტურად წარმოებას და უკეთესი შედეგების მიღებას კლიენტის სასარგებლოდ. მეორე ასპექტი პროფესიული ანგარიშვალდებულებაა: ადვოკატები ვალდებულნი არიან, იხელმძღვანელონ პროფესიული ქცევის კოდექსით და დეონტოლოგიური სახელმძღვანელო პრინციპებით, რაც ზრდის მათ ანგარიშვალდებულებას სასამართლო საქმის წარმოებისას და შესაბამისად, ამაღლებს კლიენტის ნდობას, რომ მისი ინტერესები სასამართლოში სათანადოდ იქნება წარმოდგენილი და დაცული. მესამე ასპექტი კი მდგომარეობს იმაში, რომ ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის პოლიტიკისა და

წესებიდან გამომდინარე, ადვოკატის მიერ წარმომადგენლობა კლიენტს უფრო დაცულ მდგომარეობაში აყენებს.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ინიცირებული ცვლილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლთან დაკავშირებით მიზნად ისახავს, რომ სრულფასოვნად იქნეს უზრუნველყოფილი პირის უფლება სანდო და კვალიფიციურ სასამართლო წარმომადგენლობაზე სამოქალაქო დავების წარმოებისას (მაშინ, როდესაც, არსებული კანონმდებლობით, მხარის წარმომადგენელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქმედუნარიანი, არაადვოკატი პირი). არაადვოკატ პირთა მიერ წარმომადგენლობამ შეიძლება განაპირობოს მეტი შეცდომის დაშვება (არადამაკმაყოფილებელი/არასათანადო წარმომადგენლობა) და გაზარდოს გასატარებელ სამუშაოთა მოცულობა სასამართლოებისთვის; ზედა ინსტანციის სასამართლოსთვის კი ძალზე რთულია იმ შეცდომების გამოსწორება, რომლებიც დაშვებულია პირველ ინსტანციაში. ამას გარდა, მხარეები/კლიენტები არათანაბარ პირობებში ხვდებიან, როდესაც ერთი მათგანი წარმოდგენილია ადვოკატით, ხოლო მეორე - არაადვოკატით ან პირით, რომელსაც არ გააჩნია იურიდიული კვალიფიკაცია და შესაბამისად, მისი ქცევა არ არის რეგლამენტირებული ადვოკატთა ეთიკის კოდექსით და ის არ იცნობს სასამართლო დარბაზში ქცევის წესებს, ისევე როგორც პროფესიული საიდუმლოების დაცვისა და კოლეგიალობის სავალდებულო პრინციპებს. ამასთან, მაშინ როდესაც ადვოკატი არ შეიძლება იყოს განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძინე დანაშაულისთვის ნასამართლევი პირი, თუ ნასამართლეობა არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, მუხლი 10), არსებული კანონმდებლობით ნასამართლობის მქონე არაადვოკატ პირს კი შეუძლია განახორციელოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. ამ ფაქტმა შესაძლოა, სერიოზული რისკის ქვეშ დააყენოს კლიენტის ინტერესები და დააზიანოს იურიდიული პროფესიისა და ზოგადად, მართლმსაჯულების სისტემის რეპუტაცია. ამდენად, სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიზნით ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მხარე პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმოდგენილი იყოს სათანადოდ კვალიციფირებული, გამოცდილი და შესაბამისი უნარების მქონე პროფესიონალით. CCBE მიიჩნევს, რომ სასამართლო წარმომადგენლობისთვის აუცილებელი კვალიფიკაციის მქონე ადვოკატების ჩართულობა ემსახურება მართლმსაჯულების საუკეთესო ინტერესებს და თანაბარი სარგებელი მოაქვს როგორც კლიენტისთვის, ასევე საზოგადოებისთვის. ზემოაღნიშნულ ფაქტორთა გათვალისწინებით, CCBE მხარს უჭერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებებს სამოქალაქო საქმეთა წარმოებასთან დაკავშირებით და მიმართავს წინადადებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს პარლამენტს, გაითვალისწინონ CCBE-ს ზემოაღნიშნული მოსაზრებები საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებების შეფასებისას.

ასევე, CCBE ყველა შესაბამის მხარეს მოუწოდებს, რომ მართლმსაჯულების სექტორში დაგეგმილი ნებისმიერი რეფორმა განხორციელდეს დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან კონსულტაციით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს

მართლმსაჯულების სისტემასა და სამართლიან სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება ყველა მოქალაქისთვის.

CCBE მიესალმება მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობისა და იურიდიულ მომსახურებათა ხარისხის გაუმჯობესებას და გამოთქვამს მხარდაჭერის მზადყოფნას, რათა შეთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდეს კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვით.

პატივისცემით,

**პენაგიოტის პერაკისი**

**პრეზიდენტი**